# ხაშურის მოამბე

№2 (424) 22 იანვარი, ორშაბათი, 2024 წელი


## საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სხდომა გაიმართა

მთავრობის წევრებმა სამი საკითხი განიხილეს, რომელთა შორის იყო საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე. პროგრამის ფარგლებში მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ 1000-ამდე ოჯახს სახელმწიფო ახალ საცხოვრებელ ფართებს გადასცემს. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი 50 000 000 ლარს შეადგენს.

პროგრამის მიზანი სოციალურად დაუცველი, უსახლკარო მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერა და მათთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნაა.

პროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს ოჯახი 3 და მეტი არასრულწლოვანი ბავშვით, რომლის ყველა წევრი რეგისტრირებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ოჯახებს, რომელთა არცერთი წევრი რეგისტრირებული არ არის დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა ან ეკომიგრანტი ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. ასევე – თუ უსახლკარო ოჯახის წევრს სახელმწიფოსგან უკვე მიღებული არ აქვს საცხოვრებელი ფართი ან სათანადო ფულადი კომპენსაცია საცხოვრებელი ფართის შესაძენად.

ამ და სხვა კრიტერიუმების შეფასების შემდეგ ოჯახების განსახლების საკითხს შესაბამისი კომისია გადაწყვეტს.

პროგრამა 2025 წლის ბოლომდე გაგრძელდება. ოჯახების განსახლება განხორციელდება საქართველოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

გასულ კვირას გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

სხდომამ საკრებულომ ხმათა უმრავლესობით დღის წესრიგით გათვალიწინებული 7 საკითხი დაამტკიცა.

ცვლილება შევიდა ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას, კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესში;

აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლების მამუკა სამხარაძის, ანზორ ნოზაძისა და თემურ თივათელიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად, სამი გმირის სახელი მიენიჭა დაბა სურამში თამარ მეფის ქუჩის მიმდებარე უსახელო ქუჩას;

დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024 წლის სამოქმედო გეგმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია;

საკითხები მომხსენებლებმა: საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა და მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურმა წარმოადგინეს.

საკრებულომ მოისმინა და დადებითად შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ წყლისა და გამწვანების კომპანიის ხელმძღვანელის, ნუგზარ ცხოვრებაძის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ; ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, დავით ღვალაძის ანგარიში სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ; ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2023 წელს გაწეულ საქმიანობის ანგარიში, რომელიც კომისიის თავმჯდომარე თათია ბროლიძემ წარმოადგინა.

შემდეგი სხდომა კი გაიმართა 16 იანვარს გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტს „2024 წელს ხაშური მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.“

## სოფლების დასაფინანსებლად პროექტების შერჩევა 25 იანვრიდან დაიწყება

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის” პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით 2024 წელს დასახლების საერთო კრებები და ამომრჩევლებთან კონსულტაციები 25 იანვრიდან დაიწყება.

„სოფლის მხარდაჭერის” პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ პროექტებს დასახლების საერთო კრებებზე მოსახლეობა ღია კენჭისყრით ირჩევს, ამიტომ მნიშვნელოვანია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების აქტიური ჩართულობა მათ საჭიროებებზე მორგებული პროექტების შესარჩევად.

# ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43)

ლეკის გზა – ადგ., გზა ჩრდილოეთის მხარეს. ,,ივანიკეენთებიდან ადის, გადადის საჩიხებთან, გაივლის ნინიახოს, უმცროსაანთ ახოს და მიდის ალის ციხეზე გადმოცემით, ამ გზით მახვილაძემ, წააიყვანა ლეკები და მოშალა წყლის სათავე, საიდანაც მარაგდებოდა ალის ციხე წყლით”.

ლეოს ახო – ადგ., ახო ჩრდილოეთის მხარეს.

ლოპნის სერი – ადგ., სერი, მთა ჩრდილოეთის მხარეს.

მამუკიენთი – ადგ; უბანი.

მიხას მიწა – ადგ., სათესი

მონასტრის სერი – ადგ., სერი დასავლეთის მხარეს. ,,აქ არის ძველი ნაშენები. წყობა მშრალია. მასთან ახლოს კიდევ სხვა ნაშენებია”.

მურყნების ღელე – ღელე ჩრდილოების მხარეს.

მუხის მიწა – ადგ., სახნავი. ნოზაძეების 1895 წლის გაყრის განაჩენით ,,მიხოს... მუხის მიწებიდან ერგო მესამედი შუა ადგილი”.

ნაბახტევის გზა –ადგ; გზა სამხრეთის მხარეს.

ნამგალები –ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.

ნაკალოვარი – ადგ; ჩრდილოეთის მხარეს.

ნარუჯი – ადგ., ტყე, მთა, სათესი ჩრდილოეთის მხარეს. ესაზღვრება საჩხერის რაიონს. ,,ტყე გადაიწვა, გადაირუჯა”.

ნარუჯის გზა – გზა ჩრდილოეთის მხარეს.

ნაურიალები – ადგ; ჩრდილოეთის მხარეს. ძველი ნამოსახლარი.

ნაფუზრის ნაკვეთი – ადგ, ვენახი. 1935 წლის 27 დეკემბრის ნოზაძეების გაყრის განაჩენში ნათქვამია: ,,ჩვენს მშობლებს მივეცით სამკვდრო სასიცოცხლოდ ნაფუზრის ნაკვეთში ახლად ჩაყრილი ვენახი” /ხაშურის რაიონული არქივი, ფ.19, აღწ. 1, საქმე 55, ფურც.6/.

ნაყარაულები –ადგილი

ნერგების მიწა – ადგ., სახნავი. 1895 წელს ნოზაძეების გაყრის განაჩენით ,,სახნავი მიწიდგან მიხოს... ნერგების მიწიდგან ერგო მესამედი შუა ადგილი”.

იკოს ახო – ადგ., ახო სათესი.

ნინიახო – ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,ნინი კაცის სახელია”.

ორღობის ვენახი//ორღობის ნაჭერი – ადგ., ვენახი. გიგუაშვილების გაყრის განაჩენში 1939 წლის 7 თებერვლის დაფიქსირებულია ორივე ადგილი, თუმცა ორივე ადგილს ცალ-ცალკე სახელები ჰქვიათ, მაგრამ ერთ და იგივე ადგილი უნდა იგულისხმებოდეს. ,,...კარგო გიგუაშვილს... –ნათქვამია განჩინებაში, - ერგო... ერთი შარი შქერის ვენახიდან ორღობის ვენახი, ძველი, რაც არის კლდესთან ნახევარი...” სანდრო კარგოს ძე გიგუაშვილს ერგო ,,... ვენახი ორღობის ნაჭერში ახლად ჩაყრილი მდებარეობის სამხრეთ მხარეს ვენახი კლდესთან ნახევარი ჩრდილოეთ მხარეს...” /ხრა, ფ. 19, აღწ.I, საქმე 76, ფურც. I/. ორღობის ვენახი დაფიქსირებულია აგრეთვე გელაშვილების 1950 წლის 20 იანვრის გაყრილობის განაჩენში /ხრა, ფ.19, აღწ.I, საქმე 75, ფურც.39/.

პატარა საყარი - ადგ., სათესი.

პეტრიკეს ახო – ადგ., ახო

რაჭველაანთ ვენახი – ადგ., ვენახი. გელაშვილების გაყრის 1950 წლის 20 იანვრის განაჩენში ნათქვამია: ,,ილუშას ერგო საკარმიდამო ნაკვეთიდან, რომელიც მდებარეობს რაჭველაანთ ვენახის თავთან”. /ხრა, ფ.19, აღწ. I, საქმე 75, ფურც.39/.

რიყეები – ადგ; საძოვარი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჭერათხევის პირებს ეძახიან”.

რუსის ღელე – ადგ., ღელე

სავაკე – ადგ., სათესი

საზიარო – ადგ., სათესი

სათივის მიწა – ადგ., სახნავი, სათესი. ნოზაძეების 1895 წლის გაყრილობის განაჩენით მიხას ,,სათივის მიწიდგან ერგო მესამედი სამხრეთის მხარეს”.

სათიხეები – ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,თიხიანი ადგილია”, ,,აქედან მოაქვთ თიხა, საუკეთესო თიხაა თონისთვის”.

საკაკები//დანგრეულები – ადგ., სახნავი, სათესი, მინდორი სამხრეთ მხარეს.

საკაპე – ადგ., სათესი

საკირეები –ადგილი ჩრდილოეთის მხარეს.

საკირის მთა – ადგ.,მთა ჩრდილოეთის მხარეს. ,,აქ კირს ტეხავენ”.

საკირღელე//საკირისღელე – ადგ., სათესი, ნასოფლარი ჩრდილოეთის მხარეს, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, სოფლების _ ბრილსა და ალს შორის. მდებარეობს. ქართულ საისტორიო მწერლობაში ცნობილი არ არის, არც ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება. აქ ცხოვრობდნენ გვარები: ნოზაძე, ტაბაშიძე, გელაშვილი, რომლებიც XX საუკუნის 50-იან წლებში ჩაასახლეს ალში. სახელწოდება სიტყვათშეერთებით არის მიღებული. ნაწარმოებია სა-ე თავსართ-ბოლოსართით, რომელიც დანიშნულების სახელთა მაწარმოებელია. კირი და ღელე ორივე არსებითი სახელია. ალის შემოგარენი მდიდარია კირქვით, რაც საფუძვლად უნდა დადებოდა სოფლის სახელწოდებას. ჯერ იქნებოდა საკირის ღელე, ხოლო შემდეგ საკირღელე.

სანდრას ახო//სანდროს ახო – ადგ., ახო, მინდორი, ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,გოგალაძე სანდრა იყო”.

სანიყვეები – ადგილი ჩრდილოეთის მხარეს.

საღორეების ღელე – ადგ., ღელე, გზა დასალეთის მხარეს. ,,ალბათ, ღორებს გარეკავდნენ-ხოლმე”.

საყდრები – ადგ; სათესი. ივლისის ნოზაძეების გაყრის 1952 წლის 18 განაჩენში ნათქვამია: ,,თამარს ერგო... საკარმიდამო ნაკვეთი 0,46 ჰექტარი მდებარე საყდრებში და ფაიდა ღელეზე”. /ხრა, ფ.I, აღწ.I, საქმე 75, ფურც. 40 /. იგივეა, რაც სახტრები.

საწურბლე – ადგ; ტბა, ჭაობი, სათესი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

სახტრები – ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,სამი ეკლესიაა”.

საჯვარე – ადგ; სალოცავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ლეკის გზა საჯვარეზე გაივლის”.

საჯვარის მიწა – ადგ; სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. 1895 წლის ნოზაძეების განაჩენის მიხედვით ,,სახნავი მიწებიდან... საჯვარის მიწიდან ერგო მიხოს მესამედი დასავლეთის მხარესა”.

სესიენთ ახო – ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო, ახლა ნაძვია გაშენებული”.

სესიეენთი//სესიეენთუბანი –ადგ; უბანი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. სოფლის ცენტრში. აქ სახლობენ გვარები: ნოზაძე, ქურდაძე, ლაცაბიძე, კვიჟინაძე, დავლათოვი...

სილა მიწა//სილამიწები – ადგ; სახნავი. 1895 წლის ნოზაძეების გაყრის განაჩენით ,,სახნავი მიწებიდგან მიხას... სილა მიწიდან ერგო შუა ადგილი”.

სიროს ახო – ადგ; ახო დასავლეთის მხარეს.

სკინკილაანთუბანი – ადგ; უბანი სოფლის აღმოსავლეთის აღმოსავლეთ ნაწილში.

სოლოს ახო – ადგ; ტყე ჩრდილოეთის მხარეს.

სტრაჟნიკების ღელე – ღელე დასავლეთის მხარეს. 1905 წელს აქ შეტაკება მომხდარა გლეხებსა და სტრაჟნიკებს შორის.

სხალაძეების გასასვლელი – ადგილი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ვიწრო ბილიკი.

ტირიფის მიწა - ადგ; სახნავი, სათესი. 1653 წელს ალელმა მღვდელმა სახვაშვილმა ტერ-გრიგოლმა ქიმელ ალექსი ზაქუაშვილისაგან იყიდა 2 დღის ,,ტირიფის მიწა“ საზღვრებში: ,,ზევით ვაკეაშვილის მიწამდე, ქვევით შახპარუნაშვილის მიწამდე“(ხეც, Hდ-6105; იხ. აგრეთვე, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი, თბ.1964, გვ.18).

ტკოცის გზა - ადგილი; იხ. დოლენჯის მიწა.

ტყემლების ახო – ადგ., ახო.

უმცროსაანთახო –ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს.

უმცროსაანთი –ადგ; უბანი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში. აქ სახლობენ გვარები: ნოზაძე, მაისურაძე, სხილაძე...

ფაიდა ღელე – ადგ., ღელე, სათესი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ფარსანა ახო – ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

ფოშტის გზა –ადგ; გზა სოფლის ცენტრში. ,,სანამ საჩხერის გზას გაიყვანდნენ, გზა აქ გადიოდა”.

ფურნეები – ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს.

ქაქიჩიახო – ადგ., სათესი, ახო.

ქიმერაულიანთი//ქიმერაულიანთ უბანი – უბანი სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აქ სახლობენ გვარები: ნოზაძე, გაგნიძე, გოგალაძე, ქურდაძე...

ქინძათის გზა –ადგ; გზა აღმოსავლეთის მხარეს.

ქორთელაანთ ლაშე//ქორთელის ლაშე – ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ქორთელი ყოფილა კაცი”.

ქოჩორაულის მიწა – ადგ., სახნავი. ნოზაძეების 1895 წლის გაყრის განაჩენის მიხედვით ,,გეზაურის მიწის ფარდათ გოგის ერგო ქოჩორაულის მიწის ნახევარი, სამხრეთის მხარეს”.

ქოხების ღელე – ადგ., ღელე, მინდორი დასავლეთის მხარეს, ერთვის მდ. ბურნეულას მარცხნიდან.

ღებრის წყაროს მიწა _ ადგ., სახნავი. 1895 წლის ნოზაძეების გაყრის განაჩენით ,,ღებრის წყაროს მიწიდგან გოგიას ერგო ერთი მესამედი აღმოსავლეთის მხარეს”.

ღებრის წყარო – წყარო

შიოენთი –ადგ; უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილში.

შიოენთმიწა _ ადგ; სათესი

შქერის ვენახი _ ადგ; ვენახი. 1939 წლის 7 თებერვლის გიგუაშვილების გაყრის განაჩენით ,,...კარგო გიგუაშვილს ერგო... ერთი შარი შქერის ვენახიდან...”

ცენტერა ახო – ადგ., ვენახი ჩრდილოეთის მხარეს. ,,კაცს ერქვა ცენტერა”.

ცისპანტები – ადგ; სათესი

ციხისმიწები _ ადგ; სათესი ჩრდილოეთის მხარეს.

ცოცხები//ცოცხევი – ადგილი, მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,ველური ცოცხი ამოდის. ოქროცოცხას ვეძახით იმ მცენარეს”.

ცხენახო – ადგ; სათესი

ძაღლთა უბანი _ადგ; უბანი სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

ძველი ახო//ძველახო – ადგ; სახნავი იგივე რაც ლაზარს ახო, რაც ღებრის ახო.

წვერი გზები – ადგ; გზა, ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,ეს გზა ნარუჯი ადის”.

წურიეენთი _ ადგ; უბანი.

წყლის უბანი _ უბანი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში. აქ სახლობენ გვარები: გელაშვილი, გიუაშვილი, მახარაშვილი, ნოზაძე...

**თამაზ ლაცაბიძე**

(გაგრძელება იქნება)

# მოფერებისა და სილამაზის არქიტექტორი

დიდი ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი ბრძანებს: „შეუძლებელია ვინმემ გარედან მოგახვიოს რაიმე თავზე, თუ შინაგანად, რაღაც ზომით მაინც, არა ხარ მზად მის მისაღებად“. წინამდებარე წერილის ადრესატი, როგორც ნამდვილი ქრისტიანი ქართველი კაცი, ბუნებისაგან ნაბოძები ნიჭით, შინაგანად მზად აღმოჩნდა იმისათვის, რომ იცხოვროს და იმოღვაწოს ზნეკეთილად, სიყვარულის გამოხატვისა და გაცემის დიდი უნარითა და შესაძლებლობებით.

ეს კაცი გახლავთ ჩვენი თანამოქალაქე მურად მთვარელიძე - სრულიად უნიკალური, უფართოესი მასშტაბის პიროვნება. მან თავად შეიქმნა და ცხოვრობს ისეთ გარემოში, რომელიც მისი ცნობიერებისათვის მისაღები და გასაგებია და რომელიც აძლევს მას თვითრეალიზაციის საშუალებას.მურადმა საკუთარ თავში, არა მხოლოდ მორალური ქადაგებით, არამედ გონიერი ძალისხმევითა და მეცადინეობით შესძლო გამხდარიყო წარმატებული ორგანიზატორი, საქვეყნოდ ცნობილი (პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი), სტუდენტებისათვის საყვარელი პროფესორი, საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული და აღიარებული პიროვნება, რაც, პირველ რიგში, განპირობებულია მის სულიერ აზროვნებათა მრავალფეროვნებით - სიყვარულით, კეთილშობილებით, მეოჯახეობით, მეგობრობით, პიროვნული მომნუსხველობით.

მე არა მაქვს არც პრეტენზია და არც განცდა იმისა, რომ შემიძლია მურად მთვარელიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის სრულიად წარმოჩენა, ამ წერილში შევეცდები მისი პოეტური მშვენიერებების მხოლოდ ნაწილობრივ წარმოჩენას. მურადი თავის ერთ ლექსში ამბობს: - „მე ჩემი სევდა მაქვს და ჩუმად ვჩურჩულებ, მას იგრძნობს მკითხველი და არა მარტო მე.“ პატივცემულო მკითხველო, მე არ ვარ ლიტერატურათმცოდნე, ერთი რიგითი სპორტული მუშაკი ვარ და არც ვაპირებ მურადის პოეზიის გარჩევა - გაანალიზებას, უბრალოდ, მინდა, ერთად გადავათვალიეროთ მისი სულიერი თუ ყოფითი მდგომარეობის ამსახველი, სევდითა და სიხარულით გაჟღენთილი ლექსები სამშობლოზე, თავის ხვისზე, ქრისტიანობაზე, დედაზე, ქალბატონებზე თუ მთელ რიგ ცხოვრებისეულ პრობლემებზე და ერთად შევიგრძნოთ მის ლექსებში ბრილიანტებად მიმობნეული ფრაგმენტები.

დავიწყოთ ქრისტიანული თემით, რამეთუ სწორედ ქრისტიანობაა ქართველი ხალხის კულტურის მთავარი მახასიათებელი, რაც კარგად აქვს გათვითცნობიერებული მურად მთვარელიძეს, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს.

„თითქოს იესო უხსნიდა უბეს, დედაღვთისმშობელს - ნუშისთვალებას.“

„სულში გაქვავდა სევდის ჩუქურთმად ღვთისმშობლის ცრემლი ქაშუეთიდან.“

ოსანას გალობდა შენი ანგელოზი, მადლი ზეციური შენს სულს ზე ჰფენია.“

„სეზამ, მე ვხედავ გოლგოთაზე თუ როგორ ნაზად
ბრწყინავენ უფლის სისხლიანი ნაფეხურები.“

“ხციულის პირას, ტაძართან, მოლზე ნებივრად გორავს მზე
და მოფიფქინე ნისლები დუმან ელიაგორაზე.
ტაძრად მდუმარედ მიდიან, წინ აღმართი აქვთ მონაზვნებს,
დაბლა მტკვარია და, თითქოს, უფალი შედგა ბორანზე,
ისე აინთნენ ტყეები, აქვე - ელიაგორაზე.“

ამ სტრიქონებში ნათლად ჩანს თუ როგორი კრძალვით ეფერება ავტორი ღვთისმშობელს, იესო ქრისტეს, მფარველ ანგელოზებს.

უფრო ნოსტალგიური ხასიათისაა სამშობლოს, თავის სოფელი ხვისისადმი მიძღვნილი ლექსები.

„როცა მამულს საქართველო ჰქვია, მაშინ სუნთქვაც მიწის თითო ბელტია.“

„შვილიშვილს რომ ქართულ ჰანგებს ვაჩვევ, ამით ჩემ წილ საქართველოს ვიცავ.“

მთვარეს სხივებით უჭირავს ცა-ვარსკვლავების ხონჩა,
აქ ერთი ციდა ვარსკვლავი, ნათლისმცემელთან მოჩანს.“

„ხვისი... ყორანქედს ჩუმად უღიმის დილა-ცის მკერდზე გადაღეღილი.“

„ქარი მოაწყდა ისევ ელიაგორას ხვნეშით,
ცისკენ მზირალი ნისლი ხეებს მოჰქონდათ პეშვით...
მერე ღრუბლების ჯიბრზე, თუ ვარსკვლავების ეშხით,
მთვარე ჩაცურდა მშვიდად, აქვე ჩაკაანთხევში.“

„და, ჰეი, ქარო, იქნებ სადმე გადამაფრინო,
მაგრამ მამული სევდიანი როგორ დავტოვო.“

ახლა ნახეთ რამხელა სითბო და სათნოება გამოსჭვივის მშობელი დედისადმი მიძღვნილ ლექსებში.

„დედის გაშლილო ლოგინო გნამავს ცრემლების წვიმაო,
ნეტავ მაგ ცრემლთა სურნელში უჩუმრად ჩამაწვინაო...
განა არ იცით, რად მტანჯავთ დარდებო, მაღალმთიანო,
დედის დაგებულ ლოგინში ანგელოზები კრთიანო.“

„ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვარო იმედო,
როგორ შვენოდა დედას გიტარა,
დაამღერებდა და იფიქრებდი,
თითქოს აპრილმა გამოიდარა!“

„რა დამავიწყებს სულის იმ გვალვებს,
ყოფნა-არყოფნის უხუცეს კითხვას
და დედაჩემის სევდიან თვალებს,
სიკვდილიდ წინ რომ რაღაცა მითხრა.“

მურად მთვარელიძე, როგორც კონიუნქტურას არიდებული, ჭეშმარიტი პოეტი გვერდს არ უვლის დღეს საქართველოში არსებულ არასასურველ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, გმობს არაპროფესიონალთა მდაბიო ხარისხის ყელყელაობას, რომლებიც გენიოსებად და გენიალურებად წარმოაჩენენ ერთმანეთს და თავს იწონებენ ჩინ-მედლებითა, პრემიებითა

და სხვა დაუმსახურებელი წოდებებით.

გულმართალი და გაბედული კაცი უნდა იყო რომ დაწერო:

„წესიერი საქართველო მიდის და უზნეო საქართველო რჩება.“

„თითქოს გახდა დღეს ცხოვრება მშვიდი,
მაგრამ ვხედავ, რომ გვაქციეს ჩვრებად.“

„დღეს ხელგაწვდილი ვაკაკუნებთ ვიღაცის კარზე,
კარსაც არ გიღებს ის, ვისზედაც მეტი ხარ ასჯერ.“

„სამწუხაროდ, უფრო ცოტა მიხარია, სამწუხაროდ, უფრო მეტი მწყინს.“

„არ ვწერ პრემიებისათვის, და არც სერიებისათვის,
ჩემს ლექსებში უფრო მეტად წვიმს.“

„რა ვქნა თუ, ვერა და ვერაფრით შევამკობ
მყვირალა ლექსების მყვირალა ავტორებს.
რად უნდა ყვირილი სულში მზის ამოსვლას
სცენაზე ყვირილის და მის მაგვარ სხვა ტონებს.“

როდესაც კითხულობ, განსაკუთრებული ფაქიზი გრძნობებით გაჟღენთილ, ქალბატონებისადმი მიძღვნილ მურადის ლექსებს, თამამად შეიძლება მას ვუწოდოთ „სილამაზისა და სულიერების არქიტექტორი.“ დიახ, გაზეთის ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას ყველა ასეთი ლექსი სრულად წარმოვაჩინოთ, ამიტომ აქაც ამონარიდებით დავკმაყოფილდეთ.

“როს შენს ტუჩებში ვმარხავდი კოცნებს,
შეშლილი სულის გიჟმაჟ ხავერდებს.“

„ხელისგულებს გიკოცნი თუ სუნთქვით ვქარგავ ფერად პანოს?..“

„მე მარგალიტის მძივს ვაგროვებდი, მაგ წამწამების ნიავქარიდან.“

„ტანზე კოცნის კაბა შემოგაცვი და მთვარის ბილიკზე გაგიშვი.“

„ქუჩაში მიდის ლამაზი ქალი და ქუჩაც ახლა მისებრ ყვავილობს.“

და ბევრი, ძალიან ბევრი სხვა ტკბილი სტრიქონები.

(დასასრული IV გვერდზე)

# მოფერებისა და სილამაზის არქიტექტორი

(დასასრული )

მურადს აქვს ერთი ლექსი - დამოკიდებულების სულიერი „ეროტიკის გარეშე.“ ამ ლექსის სიფაქიზე.

სათაურით იგი თითქოს თავს იზღვევს, მაგრამ კოხტად რომ „ცუღლუტობს“, წყალი არ გაუვა, თუმცა ღრმად, დაკვირვებით და სხვა გონებით თუ კიდევ ერთხელ წავიკითხავთ ამ ლექსს, ეროტიკას და მამაკაცის ხორციელ სურვილებს, ნამდვილად ჭარბობს ქალისადმი

ეროტიკის გარეშე

„არა, არა, დამიჯერე, მომისმინე, აი, გიხსნი,

რამე ცუდი არ იფიქრო, მე საკინძეს კი არ გიხსნი,

ამ შენს მკერდზე ჩამოწკიპულთ დავუყვები ყველას მისხლივ,

პეტლით ყულფში თავგაყოფილ ღილებს სიკვდილისგან ვიხსნი!“

მე ზემოთ ვთქვი, რომ არა ვარ ლიტერატურისმცოდნე, თუმცა იმას კი ვხვდები როგორ დროულად, მორგებულად და ლაღად იყენებს მურადი სალექსე, ანუ პოეტურ საზომებსა და ფორმებს (რიტმი, რითმა, სონეტი, ტერცინა, ტრიოლეტი...), ამას იმიტომ ვამბობ, რომ მას აქვს ერთი უსათაურო ლექსი, რომელშიაც მისთვის საყვარელი პოეტების მოფერების სრულიად განსაკუთრებული ფორმაა გამოყენებული. გავკადნიერდი და მურადის ამ ხუთკუპლეტიან ლექსს, ჩემი ორი კუპლეტიც მივუმატე, ასეთი ფორმით მიღებულს კი ინტერტექსტუალური ჰქვია.

აი, ეს ლექსი:

ერთგან კრთება თოლია,
ერთგან ალბატროსია,
ეს ყორანი უთუოდ,
ედგარ ალან პოსია.
ვუმზერ ცას და ღმერთს ვვედრებ
მომცეს ხანი ნისიად.
ეს ყაყაჩო, ხატულა,
ომარ ხაიამისია.
ჩვენი ყოფა ჯერ ისევ
უფრო შავით სავსეა,
ეს არწივი, დაჭრილი,
ვაჟა-ფშაველასია.
ვეღარ შველის ჭრილობას
ახლა სულის ბერვანი
როდის ჩამოიქროლებს
ნეტავ, ტატოს მერანი?
მე კი ვნატრობ: ოცნება
გქონდეს უფრო ხალასი,
ეს ბულბული ვისია?
რა თქმა უნდა, ანასი.

შემდეგ, მე გავაგრძელე:

ხიდან ხეზე ჩიტუნას
ფრენა მშვიდი და ნელი,
ეს ჩიტუნა ვისია?
რა თქმა უნდა გრანელის.
სილაჟვარდე, ვარდები,
ყვავილების პარნასი,
ღვინოები ცისფერი...
რა თქმა უნდა გალასი.

თავად მურადს და მკითხველს ბოდიშს ვუხდი ჩემი ასეთი საქციელისთვის. მინდოდა წერილი აქ დამემთავრებინა, მაგრამ მურად მთვარელიძის პიროვნული პორტრეტის წარმოსაჩენად აუცილებელია მისი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომის „ხაშურის ლიტერატურული ენციკლოპედიის“ შესახებ ორიოდე სიტყვის თქმა. ამ სქელტანიან ნაშრომში მურადი გვაცნობს ჩვენი რაიონის ორასამდე პიროვნებას, რომლებსაც რაღაც ფორმით შეხება აქვთ ლიტერატურასთან. წარმოიდგინეთ, ჯერ უნდა აღმოაჩინო ეს პატივცემული ხალხი, შემდეგ შეისწავლო მათი ბიოგრაფია და წარუდგინო მკითხველს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი შტრიხებით. ეს ძალიან შრომატევადი საქმეა, სამაგიეროდ ხაშურის ისტორია მნიშვნელოვანი ნაშრომით შეივსო. ამასთანავე, ამით რამხელა სიხარული მიანიჭა მურადმა ყველა იქ მოხსენიებულ ადამიანს და მათ ახლობლებს. რატომღაც ამ წიგნში მეც ვარ ნახსენები და საკუთარი განცდები მაწერინებს ამას.

ჩვენ, ხაშურლებს გვეამაყება, რომ გვყავს ასეთი მოვარგებული და ბარაქიანი, თავის სამშობლოზე და ხალხზე უზომოდ შეყვარებული დარბაისელი კაცი.

პატივცემულო მკითხველო, ალბათ დაიღალეთ და აქ დავამთავროთ მურადის პოეზიაში „მოგზაურობა“ და დავამთავროთ მისივე სიტყვებით: „და, იცი, ძვირფასო რა სიმსუბუქეა, როდესაც ყველაფერს ესმევა წერტილი.“

წ ე რ ტ ი ლ ი

**დავით კვინიკაძე,**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი და ყრილობის თავმჯდომარე**

# „მარტო თეთრი ცარცით და შავი დაფით 21-ე საუკუნის ბავშვებს ვერ გავზრდით“

„მარტო თეთრი ცარცით და შავი დაფით კონკურენტუნარიან ბავშვებს ვერ გავზრდით. საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურა სავალალო მდგომარეობაშია“ – ამბობს ინგლისურის მასწავლებელი ნანა გელაშვილი, რომელიც ხაშურის მესამე საჯარო სკოლაში ასწავლის.

ნანა გელაშვილი ფულბრაიტის მასწავლებელთა დახელოვნების პროგრამის ფარგლებში აშშ-ში იმყოფებოდა და ჩრდილოეთ კარონილის გრინსბოროს უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამა გაიარა. მას ასევე შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა უცხოელი კოლეგების პროფესიულ გამოცდილებას და კარიერული განვითარების გზებს. საუბარში ის გვიყვება, რა განასხვავებს ქართულ სკოლებს ამერიკულისგან და რა გამოწვევებზე წინაშე დგანან ქართველი პედაგოგები.

**- ქალბატონო ნანა, როგორია გაკვეთილები ამერიკულ სკოლაში, რით განსხვავდება ჩვენ საჯარო სკოლებში ჩატარებული გაკვეთილებისგან?**

- აშშ-გან განსხვავებით, ქართველ მოსწავლეებს არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ სწავლის ყველა საფეხურზე სავალდებულო საგნებთან ერთად მათთვის სასურველი საგნებიც აირჩიონ.

წიგნების ნაცვლად მოსწავლეებს ქრომბუქები აქვთ, რომელშიც ელექტრონული წიგნებია ჩატვირთული. კლასები ციფრული ტექნიკითაა აღჭურვილი და საგაკვეთილო პროცესს საინტერესოს და ეფექტურს ხდის.

ციფრულ ეპოქაში ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენს საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურა სავალალო მდგომარეობაშია. განსაკუთრებით რეგიონის სკოლებში გვაქვს მოძველებული რესურსები, რაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ 21-ე საუკუნის უნარები განუვითარო მოსწავლეებს.

სწრაფი გლობალიზაციის პირობებში, მარტო თეთრი ცარცით და შავი დაფით ვერ შევძლებთ კონკურენტუნარიანი თაობების აღზრდას. ეს წარმოუდგენელია.

სრულიად განსხვავებული გარემო გხვდება აშშ-ის სკოლებში.

მეც მინდა მქონდეს კარგად აღჭურვილი საკლასო ოთახი, სადაც თავისუფლად შეძლებენ მოსწავლეები ციფრულ დაფასთან მუშაობას, მეც მინდა მოვასმენინო აუდიო მასალები გაკვეთილზე, გავუშვა ვიდეო... მაქვს სკოლაში პროექტორი,

მაგრამ ამ

(დასასრული V გვერდზე)

# „მარტო თეთრი ცარცით და შავი დაფით 21-ე საუკუნის ბავშვებს ვერ გავზრდით“

(დასასრული)

პროექტორს ვიზიარებთ მთელი სკოლა, ეს არის წარმოუდგენელი.

**- მეთოდოლოგიური სიახლე რა იყო თქვენთვის?**

თანამედროვე მიდგომები და მეთოდოლოგია ჩემთვის არ არის სიახლე, მაგრამ რესურსები, რომლებსაც მასწავლებლები ფლობდნენ აშშ-ს სკოლებში, ჩემთვის ხელმიუწვდომელია. სამწუხაროდ, ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა და არა მარტო ჩემთვის.

პრობლემაა ისიც, რომ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ინგლისურ ენას კვირაში ორი საათი ეთმობა მე-8 კლასის ზემოთ, რაც სრულიად არასაკმარისია.

არასწორად მიმაჩნია ეს გათვლა. ინგლისურს, როგორც საერთაშორისო ენას, მეტი საათი უნდა ეთმობოდეს. მაგალითად, აშშ-ში გაძლიერებულად სწავლობენ ესპანურ ენას. 5 საათი ეთმობა კვირაში, ჩვენთან კი ორი საათია. აბსურდია, ნამდვილად.

**- ეს ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ ბავშვებს კერძო ცენტრებში ან რეპეტიტორებთან უწევთ სიარული?**

- დიახ, რა თქმა უნდა!

ჩვენთან პრობლემაა ასევე მრავალრიცხოვანი კლასები, სადაც 30 მოსწავლე ირიცხება და 45 წუთში ფიზიკურად შეუძლებელია ამდენ მოსწავლესთან მუშაობა.

ამერიკის სკოლებში 20-25 ბავშვია კლასში და გარდა ამისა, ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ გაძლიერებულად ისწავლონ ის საგნები, რომელსაც აირჩევენ.

მაგალითად, თუ ბავშვს სამომავლოდ ტექნიკურ სფეროში სურს ცოდნის ამაღლება, მას დამატებით შეუძლია ფიზიკა-მათემატიკის და ქიმიის არჩევა.

**- როგორ ფიქრობთ, „ჰაისქულის“ მოდელი გაამართლებდა ჩვენს სისტემაში?**

ჩემი აზრით კი. იმიტომ, რომ ბავშვს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს თუ რა პროფესია აირჩიოს მომავალში და რომელ ფაკულტეტზე ისწავლოს, თუ მივცემთ საშუალებას, რომ იმ კონკრეტულ საგნებში მოემზადოს, რაც მას სჭირდება უმაღლესში სწავლის დროს, ეს იქნება გამართლებული. ცალკე ფულის გადახდაც აღარ მოუწევთ რეპეტიტორში.

შეფასების სისტემაც განსხვავებულია ჩვენგან, რადგან ქართულ სკოლებში ქულები ყოველდღიურად იწერება, ამერიკულში კი კრედიტებს წერენ მასწავლებლები და შესაბამისად, მოსწავლე დაგროვილი კრედიტების საფუძველზე იღებს ქულას. უმაღლესი ქულების დაგროვების შემთხვევაში კი მოსწავლეს ხსნიან გამოცდიდან.

შესაბამისად, ბავშვები კარგად სწავლობენ, რომ წლის ბოლოს გამოცდა აღარ დაენიშნოთ.

**- რამდენი საათია ბავშვი სკოლაში და რა სერვისებს იღებს?**

- სწავლა იწყებოდა ცხრაზე და მთავრდებოდა 16:25 საათზე. შუალედში, 12:00 საათზე იწყებოდა ლანჩი. კარგი კვება აქვთ მოსწავლეებს შეთავაზებული, რომელიც საკმარისია, რომ დანაყრდნენ. სადღაც ნახევარი საათის შემდეგ ისევ გრძელდება საგაკვეთილო პროცესები.

**- მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე მინდა გკითხოთ. ვიცით, რომ ჩვენთან სქემა განსაზღვრავს პედაგოგის კარიერულ წინსვლას და ხელფასსაც. ამერიკაში რა გზას გადის მასწავლებელი, როგორია მისი შრომის ანაზღაურება და რა მოეთხოვება იქ კარგ მასწავლებელს?**

- აშშ-შიც ოთხი საფეხურით განისაზღვრება მასწავლებლის კარიერული წინსვლა. მასწავლებელი აბარებს ყველა საფეხურის გამოცდას, გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი, მაგრამ მასწავლებელს სტატუსი მუდმივად უნარჩუნდება.

მასწავლებლები იქაც გადიან ტრენინგებს, თვითშეფასების საფუძველზე ახდენენ თავიანთი საჭიროებების კვლევას და ამის მიხედვით გეგმავენ, რომელ ტრენინგს გაივლიან, რა აკლიათ და რა უნარების განვითარება სჭირდებათ.

**- ჩვენთან გააუქმეს თვითშეფასება, როგორ ვიცი და როგორ ფიქრობთ, სწორი იყო ეს?**

- ჩვენთან ძალიან ვრცელი იყო თვითშეფასების კითხვარი, შესაძლებელი იყო უფრო ლაკონურად დაწერილიყო და რეალურ საჭიროებებზე ყოფილიყო გათვლილი.

ჩვენთან ყველაფერი ძალიან ცვალებადია და ეს ხშირი ცვალებადობა, ეს გაუთავებელი რეფორმები, ძალიან გვღლის.

გამოცდა ჩავაბარე, შემდეგ დავაგროვე კრედიტები და ამის საფუძველზე მომენიჭა სტატუსი. ახლა ამბობენ, რომ შესაძლოა, ეს ყველაფერი გაუქმდეს. აი, ეს იწვევს გადაღლას.

ეს კომპლექსური დავალებებიც კიდევ არაფრის მომცემია...

**- თქვენს ბევრ კოლეგას მოსწონს, შემოქმედებითობას ავითარებსო. თქვენ არ ეთანხმებით?**

- ბავშვები ვერ მუშაობენ, ფიზიკურად არ არის რესურსი. „მოამზადე პოსტერი“ რომ მიწერია დავალებაში, ბავშვს ხომ უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ იყიდოს ეს ფურცელი და შესაბამისი ნივთები, რომ წარმოადგინოს პოსტერი, არა?!

კლასში, სადაც 25 მოსწავლიდან 12 სოციალურად დაუცველია, ძალიან მიჭირს ასეთი დავალებების მიცემა მოსწავლისთვის, რომელიც მართლა კომპლექსურ და მრავალფეროვან შრომას მოითხოვს.

ვიდეო რგოლის, პოსტერის და პრეზენტაციების საშუალება რეალურად არ არის კლასში.

სამომავლოდ, აქტიურად ვაპირებ ჩემს უცხოელ კოლეგებთან ერთად




საერთაშორისო პროექტების განხორციელებას, უკვე დავგეგმე რაღაც აქტივობები და იმედი მაქვს, ეს ყველაფერი წაადგება ჩემს მოსწავლეებს, ჩემს თემს და კარგ შედეგსაც დავდებთ.

**- ჩვენთან ბაზისური ხელფასი, როგორც ვიცით, ძალიან დაბალია და სტატუსის მიხედვით ეზრდება ანაზღაურება პედაგოგს. ამ პრინციპზე დგას აშშ-შიც სისტემაც?**

- ანაზღაურება იქაც მასწავლებლის მიღწევებზეა დამოკიდებული, ასევე – სტაჟზე. მაგრამ როცა მასწავლებელი გამოცდას ჩააბარებს და მიიღებს ლიცენზიას, შემდეგ უნარჩუნდება მას ეს სტატუსი. ჩვენთან კი მუდმივად გიწევს რაღაცის მტკიცება.

რაც შეეხება ანაზღაურებას, ზოგადად ხელფასის საკითხი კონფიდენციალურია, მაგრამ იმდენად გულახდილები იყვნენ მასწავლებლები საუბარში, ერთ-ერთმა, დაახლოებით 56 ათასი დოლარი მაქვს საშუალო წლიური შემოსავალიო – მითხრა.

მეც ვფიქრობ, რომ პედაგოგის ხელფასი უნდა გაიზარდოს. მინიმუმ 2 000 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს მასწავლებლის შემოსავალი.

იყოს გამოცდები, მივესალმები, მაგრამ ეს გაუთავებელი რეფორმები ძალიან დამღლელია. სულ რაღაც ცვლილების მოლოდინში ვართ – „ამან არ გაამართლა, ახლა ასე ვცადოთ“. შემოაქვთ სიახლეები, რომელიც ჯერ კიდევ არ არის კარგად გამოკვლეული, რაც იწვევს მუდმივ სტრესში ყოფნას. ერთ რაღაცაზე უნდა შეჯერდეს ყველა.

ასევე, აუცილებელია სკოლების აღჭურვა, რომ თანამედროვე გაკვეთილები ვატაროთ. დღეს, სასკოლო ოთახებში არსებული რესურსები მისახედია.

ჩემი აზრით, თუკი მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, არ იქნება მასწავლებლის სტატუსის ხშირი ცვლილება და მასწავლებლის მუშაობის ხარისხი შეფასდება მოსწავლეთა შედეგებით, ოლიმპიადებში, კონკურსებში, გაცვლით პროგრამებში წარმატებებით, ვფიქრობ, კარგი იქნება.

ჩემი რამდენიმე მოსწავლე ახლაც „ფლექსის“ პროგრამით იმყოფება აშშ-ში, ბევრი წარმატებული მოსწავლე მყავს და ვფიქრობ, ესეც კარგია მოტივაციაა პედაგოგისთვის.

**ლელა დუმბაძე**

# „ნანატრი“ - ღვინის ხაშურული ბრენდი, რომელსაც უკვე ცნობენ საქართველოში

**ქართული ღვინის ისტორიაზე საუბარს არ ვაპირებთ, გვახსოვს და ვამაყობთ კიდეც. ამ სტატიაში, ხაშურელ ძმებს გაგაცნობთ, რომლებიც დასხდნენ და ძალიან კარგი საქმე მოიფიქრეს. გიორგი და გურამ გოგიჩაშვილებმა, მარნის აშენება და ისეთი ღვინის წარმოება დაიწყეს, რომელიც ადგილობრივი ჯიშებისგან დაყენებული ღვინის პოპულარიზაციას შეუწყობდა ხელს. საკუთარი ძალებით და ფინანსებით, მარანი ააშენეს და გასულ წელს, პირველი ღვინოც ჩამოასხეს. ‘ნანატრმა“ „დაბადების“ პირველივე წელს, დიდი მოწონება და აღიარება დაიმსახურა.**

**გიორგი გოგიჩაშვილი-ღვინის ბრენდ „ნანატრის“ დამფუძნებელი:**

-პროფესიით აგრონომი ვარ, მქონდა არასამთავრობო ორგანიზცია, რომელიც აგრონომიის მიმართულებით მუშაობდა, გავაშენე ქლიავის ბაღი, მაქვს მცენარეთა დაცვის საშუალებების დაფასოების კომპანიაც, თუმცა, ერთ დღეს, მე და ჩემმა ძმამ გადავწყვიტეთ, ისეთი საქმე წამოგვეწყო, რითაც საკუთრ ოჯახებსაც და მუნიციპალიტეტსაც გამოვადგებოდით და სარგებელს მოვუტანდით. აქედან დაიწყო ფიქრი ღვინის წარმოებაზე და მარნის მშენებლობაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ვართ პირველი მეღვინეობა, ორგანიზებული მეღვინეობის პირობებში, რომელმაც მიიღო ყურძენი, გადაამუშავა და ბოთლში ჩამოასხა.

**-თავდაპირველ პროცესებზე რომ გვესაუბრო.როგორი იყო გზა მარნის მშენებლობიდან, ღვინის ჩამოსხმამდე?...**

- მარნის მშენებლობა 2021 წელს დავიწყეთ, სოფელ ქვიშხეთში. პირველი მოსავალი 2022 წელს მივიღეთ შესყიდვის ფორმით. პირველი ეტაპი, ისტორიის შესწავლა იყო, თუ როგორი პოტენციალი გააჩნდა ჩვენს მუნიციპალიტეტს, ყველაზე მეტად ქვიშხეთმა დაგვაინტერესა, რადგან მას, თავისი ძალიან კარგი ისტორია აქვს და აქ დაყენებული ღვინო, ცნობილი იყო „ქვიშხურას“ სახელით. „ქვიშხურა“ გორული მწვანის ერთ-ერთი ვარიაციაა, რომელიც ჩვენს ზონაშია მოყვანილი და

(დასასრული VI გვერდზე)

# „ნანატრი“ - ღვინის ხაშურული ბრენდი, რომელსაც უკვე ცნობენ საქართველოში

(დასასრული )

განსხვავდება თავისი ქიმიური და ორგანული შემადგენლობით და აქ დაწურული ღვინო, სწორედ „ქვიშხურას“ სახელითაა ცნობილი. არსებობს ასეთი ისტორიაც, რომ ერეკლე მეორეს მეორე ცოლი ქვიშხეთიდან იყო, ჯვარიც ქვიშხეთში დაუწერიათ. ერთხელ, ერეკლე მეფის სტუმრობისას, სიმამრს თავისი ღვინო შეუთავაზებია და ისე მოწონებია, როდესაც ცოლს დაშორდა, სიმამრი მაინც უგზავნიდა ღვინოს-ეს ისტორიაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი, ქვიშხეთში აგვეშენებინა მარანი და სწორედა აქ დაგვეწყო ღვინის წარმოება და აღგვედგინა „ქვიშხურას“ ტრადიცია. ასევე, გვინდა, რომ მისაბაძი მაგალითი გავხდეთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მეღვინეებისთვის, რომ

დაიწყონ საკუთარი ღვინის ბრენდირება და ბაზარზე გატანა სამარკო ნიშნით.

**- მარანში რომ შეგვახედოთ, როგორ გამოიყურება მიმდინარე პროცესი?**

-ამ ეტაპზე, მარანი მოიცავს საწარმოო მხარეს, სადაც გვაქვს ქვევრები და საწარმო დანადგარები, ჩამოსასხმელ ოთახს და ღვინის შესანახ ოთახს. ესაა დასაწყისი და გვაქვს გეგმები, როგორ განვვითარდეთ და გავფართოვდეთ. ქვიშხეთი საკურორტო ზონაა და გვინდა, გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა და განვვითარდეთ აგროტურისტულ მეურნეობად, ბუნებრივია, ეს სამოავლო გეგმაა, რომლისკენაც მივდივართ.

**-რამდენი სახეობის ღვინოს აწარმოებთ, რომელ ჯიშებზე გააკეთეთ აქცენტი?**

-გვაქვს სამი სახეობის ღვინო-პინო, „გორული მწვანე“ და „ჩინებული“. ჩვენ ვართ ორიენტირებული ქართლის სახეობის ყურძნის ჯიშებზე. საქართველოში, ძირითადად კახური და რაჭის ჯიშები იციან, ქართლის ჯიშები ნაკლებად პოპულარული და ცნობადია, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც გავაკეთეთ აქცენტი, ადგილობრივ ჯიშებზე. ასეთია შავი პინო, რომელიც 70-იან წლებში ფრანგებმა გააშენეს ხაშურის

ერთ-ერთ სოფელში და საკმაოდ კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს.

**- როგორი იყო პირველი წელი, რამდენი ბოთლი ღვინო ჩამოასხით?**

-2022 წელს, 13 ტონა ყურძენი დავწურეთ, 9500 ბოთლი ღვინო ჩამოვასხით სამივე სახეობა, გავაკეთეთ ბრენდირება და დავიწყეთ ბაზარზე გასვლა.

**- ძალიან სახასიათო და თბილი სახელი აქვს ღვინოს...**

-„ნანატრი“ მონატრებას აღნიშნავს-მონატრებულ შენიანებთან შეხვედრას, ბედნიერ საღამოებს და მონატრებულ ურთიერთობებს-რაც ყველაზე მეტად გვჭირდება და გვენატრება ადამიანებს. აქედან წამოვიდა სახელიც და ვფიქრობ, ხასიათიდან გამომდინარე, ძალიან მოუხდა ღვინოს.

**-როგორი ტექნოლოგიით აყენებთ ღვინოს?**

- ჩვენი ღვინო, ქვევრის ტექნ-ოლოგიის ღვინოა, თუმცა, ცოტა განსხვავებული სხვა ქვევრის ღვინოებისგან სიმსუბუქით, სახალისო არომატით. ამ ეტაპზე, ტრადიციულ მეთოდს ვიყენებთ- სამომავლოდ ვამატებთ კლასიკურ მიმართულებას, რომელიც ჩვენთან ევროპული ტექნოლოგიის სახელითაა ცნობილი. ჩვენი თავდაპირველი მიზანი იყო, შეგვენარჩუნებინა ჩვენი ისტორიული ტრადიცია და, ამავდროულად, შეგვეტანა სიახლეები ტრადიციებშიც.

რადგან პური ხაბაზმა უნდა აცხოს და არც მე გახლავართ მეღვინე, მყავს მეღვინე, რომელიც ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს იღებს, რა დროს რა პროცესია ჩასატარებელი, აფასებს გემოს, სუნს და მისი შეფასებით ხდება მთელი პროცესების გავლა.

**-უკვე ათვისებულ ბაზარზე შესვლა, იყო თუ არა, ერთგვარად შიშის მიზეზი?**

-თავისთავად, შიშები ბაზარზე გასვლის წინ იყო, რადგან, ქართული ბაზარი გაჯერებულია ღინით, ძირითადად კახური ჯიშებია, რაჭის და იმერეთის და გვქონდა შიში იმის, რამდენად მიიღებდა ბაზარი ქართლის, არც ისე ცნობილ ჯიშებს. თუმცა, ის, რომ პირველები ვიყავით ჩვენი მუნიციპალიტეტიდან, გარკვეულ უპირატესობას გვანიჭებდა, რადგან უფრო მეტი იყო ინტერესი ჩვენი ღვინის მიმართ. ჩვენს ღვინოებს, თავისი უპირატესობები და სახასიათო ელემენტები აქვს, რაც დაგვეხმარა იმაში, რომ ცნობადობის და მიღების პროცესი ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო სტარტაპ წარმოებისთვის.

ამ ეტაპისთვის, ჩვენი ღვინის რეალიზებას ვახდენთ თბილისში, თუმცა ხაშურში, ერთ-ერთ რესტორანშიცაა შეტანილი.

**- როგორია სომელიეების და კომპეტენტური ადამიანების შეფასებები?**

-ინტენსიურად ვმონაწილეობთ სხვადასხვა გამოფენებში და ფესტივალებზე, მაინტერესებდა გამოცდილი სომელიეების აზრი და შეფასებები, რამდენად სწორი მიმართულებით მივდიოდით. ჩვენი ღვინოები გავიტანეთ ორ საერთაშორისო კონკურსზე, საერთაშორისო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კონკურსი და ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსი, სამივე სახის ღვინომ სხვადასხვა საპრიზო ადგილები მოიპოვა-პირველ კონკურსზე, ერთმა ვერცხლი და ორმა ბრინჯაო, ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსზე ორი ვერცხლი დავიმსახურეთ, რაც წარმოუდგენელი შედეგია, ღვინის წარმოების პირველივე წელს, მსგავსი აღიარება და მოწონება დაიმსახუროს ღვინომ. ეს იყო უდიდესი მოტივაცია

**-რადგან საკუთარი ვენახები არ გაქვთ ამ ეტაპზე, სად ხდება ყურძნის შეძენა?**

-ვინაიდან, პრეტენზია გვაქვს, რომ ვართ პირველი ღვინის მწარმოებლები ჩვენს მუნიციპალიტეტში, ამიტომ ნედლეულსაც ასევე ჩვენს მუნიციპალიტეტში ვყიდულობთ. გასულ წელს, მთლიანად ხაშურის ტერიტორიაზე შევისყიდეთ ყურძენი. 2023 წელი, არც ისე მოსავლიანი იყო, გაგვიჭირდა მხოლოდ ადგილობრივი ყურძნის შესყიდვა, მოგვიწია რაოდენობის განახევრება და ის რაოდენობა ვერ ჩამოვასხით, ხუთი ტონა გადავამუშავეთ და ჩვენი ნიშა შევინაჩუნეთ.

**- ბაზარმა როგორ მიგიღოთ?**

- რადგან, ახლა ვიდგამთ ნაბიჯებს და ცნობადობის გაზრდას ვცდილობთ, ერთწლიანი გამოცდილება, გვაძლევს იმის სტიმულს, რომ სამომალო გეგმებზეც დავიწყოთ ფიქრი. მიუხედავად იმის, რომ ბრენდირებაზე, მარკეტინგზე ახლა დავიწყეთ აქტიური მუშაობა, ამას ხელი არ შეუშლია, რომ ჩვენი ღვინით, რამდენიმე მაღაზია და რესტორანი დაინტერესებულიყო და თანამშრომლობა შემოეთავაზებინათ. მეორე ამბავი, ღვინის ექსპორტზე გატანაა, რომელზეც აქტიურად ვმუშაობთ. გვინდა, რომ დამოკიდებული არ ვიყოთ რესტორანში მიმტანის შეთავაზებაზე და „ნანატრს“ იცნობდნენ და ითხოვდნენ, როგორც მათთვის სასურველ ღვინოს.

**- სამომავლოდ, რა გეგმები გაქვთ?**

- ორ ნაწილად შემიძლია დავყო ჩვენი გეგმები; პირველი ხუთი და შვიდი ათი წელი-პირველ ხუთ წელში, გვინდა შევინარჩუნოთ ღვინის წარმოების ის მიმართულება, რომელიც გვაქვს, რაც გვაძლევს იმის პერსპექტივას, რომ ხაშური გახდება ცნობადი ღვინის ბაზარზე და გაჩნდება სხვა მეღვინეებიც, რომლებიც დაიწყებენ ადგილობრივ ჯიშებზე მუშაობას. მომდევნო ათი წლის გეგმებს რომ გადავხედოთ, გვინდა, რომ ხაშური გავაცნოთ როგორც ჩვენ ქვეყანას, არამედ ვაწარმოოთ ექსპორტიც. შევქმნათ ტურისტული ადგილი, სადაც ტურისტებს შეეძლებათ მოსვლა, ღვინის დაგემოვნება, ტექნოლოგიების გაცნობა. გვინდა, გავაშენოთ საკუთარი ვენახები, დავნერგოთ ევროპული ტექნოლოგიები.

**თ. ჯავახიშვილი**

## განცხადება

შევისყიდი კაკლის ხეს(მოჭრა, გადაბელვა). ასევე, დაგეხმარებით ნებისმიერი ხის მოჭრა-გადაბელვაში. **ტ. 551 16-19-84 (დათო).**

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.